ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდის პროექტი -
„საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში“

საზაფხულო სკოლა საერთაშორისო სისხლის სამართალში
თბილისი / ბათუმი

„საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება - თეორიული და შედარებითი ასპექტები“

2023 წლის 25 - 30 სექტემბერი

📣ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის, ბერლინის ჰუმბოლდტის, მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულეტეტებსა და ბილეფელდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტთან ერთად აცხადებს კონკურსს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად!

📌საზაფხულო სკოლაში ლექციებს წაიკითხავენ ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები და სფეროს ექსპერტები. სწავლება წარიმართება დასწრებულ ფორმატში, თუმცა, ამასთანავე, ჩატარდება ონლაინლექციაც.

📣საზაფხულო სკოლის ფარგლებში სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მესამე/მეოთხე კურსისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ საერთაშორისო სისხლის სამართლის სალექციო კურსი ქართველი და უცხოელი პროფესორების/ექსპერტების ხელმძღვანელობით.

📌 პროექტი გაიმართება ორ ეტაპად:
🟢 25-27 სექტემბერი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თბილისში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
🟢 27-30 სექტემბერი - საზაფხულო სკოლა ბათუმში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო).

✅ მონაწილეები შეირჩევიან კონკურსის წესით და ყველა ხარჯი დაფინანსდება ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდის მიერ!

🔹 მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა: https://forms.gle/sX355LyChQrrsmLA8
🔹 საზაფხულო სკოლის სამუშაო ენაა ინგლისური. მონაწილეს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2/1 დონეზე! წარმოსადგენი დოკუმენტაცია სრულად იხილეთ სარეგისტრაციო ბმულზე.

📎 მონაწილეების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:
1) განაცხადების გადარჩევა;
2) გასაუბრება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

✅ კონკურსის შედეგად გამოვლინდება 16 საუკეთესო სტუდენტი საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად.

⏳ საკონკურსო განაცხადის მიღების პერიოდი: **14/08/2023 - 01/09/2023**

📌 საზაფხულო სკოლის ჩატარების ადგილი: თბილისი / ბათუმი

🗓️ საზაფხულო სკოლის ჩატარების დრო: 25 - 30 სექტემბერი

📜 საზაფხულო სკოლის მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები!

🔹 საზაფხულო სკოლა / სამეცნიერო კონფერენციას, ფოლკსვაგენის ფონდის სამეცნიერო პროექტის თანამშრომლობის ფარგლებში, ხელმძღვანელობენ ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. ედვარდ შრამი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტისა და მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. ბორის ბურგჰარდტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფ. დოქტ. გიორგი დგებუაძე.

❓ დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: vwiclproject@gmail.com